



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების
დოკუმენტი
2021-2024 წლების

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	3
ისტორია	3
მდებარეობა	3
ფართობი	4
გეოგრაფია	4
მმართველობის ორგანოები	5
მოსახლეობა	5
ეკონომიკა	6
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	6
საჯარო დაწესებულებები	6
ღირშესანიშნაობები	7
ბიუჯეტი	7
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	8
შემოსულობები	8
გადასახდელები	8
ბიუჯეტის ბალანსი	10
2019 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა	11
თავი III. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიანი პერიოდში	19
ასიგნებების ზღვრული მოცულობები	19
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება	27
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	35
04 00 განათლება	36
05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	37
06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	44
01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	50

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის მხარეში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქვის ხანის მრავალი ნამოსახლარია აღმოჩენილი: ხომულის მღვიმე, ქვილიშორის მღვიმე, შავგორას მღვიმე, საქაჯიას მღვიმე, საწურბლიას ეხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნასოფლარი მელოური, მუხიანის, ფარცხანაყანევისა და ქვედა მაღლაკის ანტიკური სამაროვნები.

გათხრების შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ზედა პალეოლითში (ძველი ქვის ხანა) 30-40 ათასი წლის წინათ და ქვა-სპილენძის ხანაში, 7 ათასი წლის წინათ უცხოვრია. თეთრ მღვიმეში ნაპოვნი იქნა კავკასიაში ყველაზე ადრეული იარაღი-სპილენძის ისრის პირი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 - მე-5 ათასწლეულით თარიღდება. მე-12-13 საუკუნეებში კი იგი უკვე ცნობილია, როგორც სამკურნალო პუნქტი. წყალტუბოში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეს – სამკურნალო წყლებს საფუძვლიანი ქიმიური ანალიზი 1913 წელს ჩაუტარდა, რამაც მისი უნიკალურობა დაადასტურა. ოფიციალურ ბალნეოლოგიურ კურორტად წყალტუბო 1920 წლიდან იქცა, ხოლო ქალაქის სტატუსი 1953 წელს მიენიჭა. საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში იგი ცნობილი იყო როგორც საკავშირო დონის კურორტი.

მდებარეობა



წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში, იმერეთის ცენტრალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი, დასავლეთით - სამტრედიისა და ხონის, ჩრდილოეთით ცაგერის და ამბროლაურის, ხოლო სამხრეთით - ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები.

ფართობი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობი არის 707,5 კვ კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 30543 ჰექტარი. ტყის საერთო ფონდი შეადგენს 24 685 ჰექტარს, ხოლო 345 ჰექტარი დაკავებული აქვს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ტბები: თავშავას ტბა და ასევე ხელოვნურად შექმნილი „ცივი ტბა“, მდინარეები: რიონი შენაკადებით, წყალტუბოსწყალი, გუბისწყალი და სხვა.

გეოგრაფია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რელიეფის განმსაზღვრელ ფიზიკურ - გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს ფართო ოვალური ფორმის ჩაღრმავება ქვაბურ მინერალური წყაროების გამოსვლით, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილების შტოებით და მხოლოდ კოლხეთის დაბლობისაკენ არის გახსნილი. ქვაბულის გარშემო მდებარე ფერდობებს სხვადასხვა სიმაღლე და ექსპოზიცია აქვთ, რელიეფის ძირითადი ფორმები დაბლობ - ბორცვიანია და მთიან რეგიონში გავრცელებულია წითელმიწა, ეწერი და ნეშომპალა ნიადაგები.

წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. აქ ზღვის ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, მოკლე ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურის მხრივ წყალტუბო ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში. საშუალო წლიური ტემპერატურა - 15 გრადუსია. ყველაზე ცხელი აგვისტოს საშუალო ტემპერატურა -28-30 გრადუსია. ყველაზე ცივი თვეების იანვარ-თებერვლისა - 5 გრადუსი. საშუალო წლიური ტენიანობა 76 პროცენტია.

წყალტუბო მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის მთავარი არტერიაა მდინარე რიონი შენაკადებით მდ. წყალტუბო და გუბისწყალი. მათი წლიური ჩამონაენი 1690 მლნ. კუბ. მეტრს, ხოლო წყლის ხარჯი წამში 0.28-ს შეადგენდა, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა კი 1420 მმ იყო.

რეგიონის ძირითადი მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა. წყალი შეიცავს კეთილშობილ აირს, რადონის ემანაციას, აზოტის დიდ რაოდენობას და ჰელიუმს. რის გამოც მას აიროვან-აზოტიანი წყლების კლასს მიაკუთვნებენ.

წყალტუბოს მინერალური წყლის მაღალხარისხოვნების მაჩვენებელია ბუნებრივი ოპტიმალური ტემპერატურის 35 გრადუსის მუდმივობა, რაც ხელს უწყობს აბაზანების ადვილად ამტანიანობას. წყალი აბაზანებში პირდაპირ წყაროებიდან მიდის გათბობისა და გაციების გარეშე.

წყალტუბოს ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე, რომლის საერთო ფონდი 2008 წლისათვის 24685 ჰექტარს შეადგენდა. ტყით დაფარული იყო 23706 ჰექტარი. ტყეების უმრავლესობა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. რეგიონში ტერიტორიის გატყიანება 34.9 პროცენტს შეადგენს.

პროგნოზით, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისების მხრივ (თერმული წყლები, საშენი მასალები და სხვა) წყალტუბო დიდი მნიშვნელობის კურორტის, ტურიზმის და მეწარმეობის ცენტრი გახდება, რაც უპირველესად. მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 34 წევრისაგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 19 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია; საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 17 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი წყალტუბო და ადმინისტრაციული ერთეულები: გეგუთი, გვიშტიბი, გუმბრა, დღნორისა, მაღლაკი, მექვენა, მუხიანი, ოფურჩხეთი, ოფშკვითი, პატრიკეთი, რიონი, საყულია, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, ცხუნკური და სოფელ წყალტუბო.

მოსახლეობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 56 883 კაცია. წყალტუბოში 43 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 42 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 9-ე ადგილზეა. მუნიციპალიტეტში დასახლებული 56 883 მოსახლიდან ქალაქში რეგისტრირებულია 11 284 პირი, ხოლო სოფელში 45 599 მაცხოვრებელი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5%-ია (3 713 804 მოსახლე), ხოლო იმერეთის რეგიონის 10,7%-ს შეადგენს (533 906 მოსახლე).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2014 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3713804	69700
იმერეთის რეგიონი	533906	6516,0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	56883	707,5
პროცენტი საქართველოსთან	1,5%	1,01%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 15 092 პენსიონერი. მათ შორის 1493 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა.

ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია ტურიზმი. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს კურორტი წყალტუბო, რომელიც განთქმულია სამკურნალო თერმული წყლით. აქვე აღსანიშნავია სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს სპელეოლოგიური ძეგლები: კარსტული მღვიმეები, ძაბრები და ეხები. მათგან აღსანიშნავია სათაფლიის კარსტული მღვიმე, ხომულის მღვიმე, თეთრი მღვიმე, „პრომეთეს“ მღვიმე, საწურბლიას ეხი.

მუნიციპალიტეტის სასოფლო - სამეურნეო სავარგულები 30 543 ჰექტარია. სოფლის მეურნეობაში ძირითადად განვითარებულია მეხოსტნეობა, მეხილეობა, მემარცვლეობა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის მთავარი სატრანსპორტო კვანძია ქალაქი წყალტუბო, რომელიც საავტომობილო გზებით უკავშირდება ქალაქებს: ქუთაისს, ხონს, ცაგერს, ტყიბულს. ქალაქი სარკინიგზო მაგისტრალით უკავშირდება ქუთაისს.

საჯარო დაწესებულებები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორის:

- 40 საჯარო სკოლა და 2 კერძო სკოლა, სადაც სწავლობს 5 740 მოსწავლე;
- 23 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 1850 ბავშვი;
- კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს 28 ბიბლიოთეკა, 3 მუზეუმი, 10 კლუბი, 2 კულტურის სახლი და სახალხო თეატრი;
- სპორტული ცენტრი - სადაც სპორტის 13 სახეობას ეუფლება 420 ბავშვი;
- ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სამუსიკო განათლებისა და სამხატვრო განათლების სკოლა 259 მოსწავლით. ასევე ცენტრში წრეების პროგრამებში მონაწილეობს 294 აღსაზრდელი.

ღირსშესანიშნაობები

წყალტუბო მრავალფუნქციური, მსოფლიო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია, რომლის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი რესურსია უნიკალური რადონის შემცველობის წყალი, რითაც კურორტი ყოველთვის იზიდავდა დამსვენებლებს. წყალტუბო საინტერესოა ტურისტებისათვის აქ არსებული კარსტული მღვიმეების „სათაფლიისა“ და „პრომეთეს“ მიწისქვეშა სილამაზით და სამკურნალო სპელეოტურიზმისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით.

წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარეობს ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი გეგუთის სასახლე X-XI სს; იოანე ნათლიმცემლის სახელობის ეკლესია სოფელ დერჩში _ 8-9 ს.ს; ზარათის ეკლესია სოფ. ზარათში_ XI ს.ს.

წყალტუბოში მდებარეობს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის სახლ - მუზეუმი სოფელ ჩუნეში, გიორგო ახვლედიანის სახლ - მუზეუმი სოფელ დერჩში.

ბიუჯეტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი მიმდინარე პერიოდისთვის შეადგენს 29 995,5 ათ. ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების დაახლოებით ნახევარს (11 543,4 ათ. ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (8409,2 ათ. ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითდად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2021-2024 წლებში

შემოსულობები

2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2021 – 2024 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით

2019 – 2024 წლებში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ბიუჯეტის გეგმა	2021 წლის ბიუჯეტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
შემოსავლები	23 097,0	25 739,8	16 261,5	24 636,2	27 818,3	29 569,4
გადასახადები	11 007,7	10 609,2	13 111,5	15 739,4	18 568,5	19 941,8
დღგ	8 261,9	8 409,2	10 511,5	13 139,4	15 968,5	17 341,8
საშემოსავლო გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	2 745,8	2 200,0	2 600,0	2 600,0	2 600,0	2 600,0
გრანტები	8 183,8	12 096,4	170,0	5 916,8	6 269,8	6 647,6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	1,2	270,0	0,0	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8 182,6	11 826,4	170,0	5 916,8	6 269,8	6 647,6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	170,0	1 270,0	170,0	170,0	170,0	170,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	170,0	170,0	170,0	170,0	170,0	170,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8 012,6	10 556,4	0,0	5 746,8	6 099,8	6 477,6
სხვა შემოსავლები	3 905,6	3 034,2	2 980,0	2 980,0	2 980,0	2 980,0
არაფინანსური აქტივების კლება	412,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება,

რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2021-2024 წ.წ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით

2019 –2024 წლებში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
გადასახადებები სულ	23275,7	29995,0	16361,5	24736,2	27918,3	29669,4
ინფრასტრუქტურის განვითარება	12190,9	16393,3	5008,6	12967,7	15910,9	17737,4
დასუფთავება და გარემოს დაცვა	922,8	1293,5	1100,9	1188,5	1242,2	1284,9
განათლება	3217,0	4756,0	2700,0	2821,7	2823,3	2824,9
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2116,1	2142,7	2160,0	2332,4	2462,1	2300,7
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1549,5	1598,0	1564,9	1542,7	1584,9	1614,3
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3279,5	3811,5	3827,1	3883,3	3894,9	3907,2

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

2019 – 2024 წლებში

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2020 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის პროექტი			2022 წლის პროგნოზი			2023 წლის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი		
	ს.უ.ლ.	მათ შორის		ს.უ.ლ.	მათ შორის		ს.უ.ლ.	მათ შორის		ს.უ.ლ.	მათ შორის		ს.უ.ლ.	მათ შორის		ს.უ.ლ.	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	23 09 7,0	8 182,6	14 914,4	25 73 9,8	10 995,0	14 744,8	16 26 1,5	170,0	16 091,5	27 81 8,3	6 269,8	21 548,5	29 56 9,4	6 647,6	22 921,8	29 56 9,4	6 647,6	22 921,8
ბადასახადები	11 00 7,7	0,0	11 007,7	10 60 9,2	0,0	10 609,2	13 11 1,5	0,0	13 111,5	18 56 8,5	0,0	18 568,5	19 94 1,8	0,0	19 941,8	19 94 1,8	0,0	19 941,8
გრანტები	8 18 3,8	8 182,6	1,2	12 09 6,4	10 995,0	1 101,4	17 0,0	170,0	0,0	6 26 9,8	6 269,8	0,0	6 64 7,6	6 647,6	0,0	6 64 7,6	6 647,6	0,0
სხვა შემოსავლები	3 90 5,6	0,0	3 905,6	3 03 4,2	0,0	3 034,2	2 98 0,0	0,0	2 980,0	2 98 0,0	0,0	2 980,0	2 98 0,0	0,0	2 980,0	2 98 0,0	0,0	2 980,0
II. ხარჯები	11 34 4,7	621,8	10 722,9	12 26 8,0	1 066,7	11 201,3	12 23 8,1	170,0	12 068,1	12 43 1,7	170,0	12 261,7	12 79 4,4	170,0	12 624,4	12 95 7,2	170,0	12 787,2
შრომის ანაზღაურება	2 27 0,5	77,5	2 193,0	2 23 1,9	78,6	2 153,3	2 51 7,2	79,9	2 437,3	2 27 1,2	79,9	2 219,3	2 27 1,2	79,9	2 219,3	2 27 1,2	79,9	2 219,3
საქონელი და მომსახურება	1 40 8,7	230,0	1 178,8	1 88 3,2	423,0	1 460,3	1 53 8,0	21,4	1 516,6	1 65 7,4	21,4	1 636,0	1 80 8,0	21,4	1 786,6	1 84 3,9	21,5	1 822,4
პროცენტი	27 ,8	0,0	27,8	31 ,8	0,0	31,8	31 ,8	0,0	31,8	31 ,8	0,0	31,8	31 ,8	0,0	31,8	31 ,8	0,0	31,8
სუბსიდიები	5 83 0,0	68,6	5 761,4	6 03 3,7	57,6	5 976,1	6 58 3,4	64,8	6 518,6	6 86 3,9	64,8	6 799,1	6 97 3,0	63,8	6 909,2	7 06 1,1	62,7	6 998,4
გრანტები	17 ,9	0,0	17,9	33 ,9	0,0	33,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 14 6,7	2,9	1 143,8	1 20 0,6	6,6	1 193,9	1 03 9,5	3,9	1 035,6	1 03 1,1	3,9	1 027,2	1 06 0,5	4,9	1 055,6	1 09 4,4	5,9	1 088,5
სხვა ხარჯები	64 3,1	242,8	400,3	85 2,9	500,9	352,0	52 8,2	0,0	528,2	57 6,4	0,0	576,4	64 9,9	0,0	649,9	65 4,9	0,0	654,9

III. საოპერაციო საღიბი	11 75 2, 3	7 560,8	4 191,5	13 47 1, 8	9 928,3	3 543,5	4 02 3, 4	0,0	4 023,4	15 38 6, 6	6 099,8	9 286,8	16 77 5, 0	6 477,6	10 297,4	16 61 2, 2	6 477,6	10 134,6
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11 49 1, 3	7 563,8	3 927,5	17 57 1, 4	10 636,3	6 935,1	3 96 7, 8	0,0	3 967,8	12 14 2, 4	5 746,8	6 395,6	14 96 3, 3	6 099,8	8 863,5	16 55 1, 6	6 477,6	10 074,0
ზრდა	11 90 3, 2	7 563,8	4 339,4	17 67 1, 4	10 636,3	7 035,1	4 06 7, 8	0,0	4 067,8	12 24 2, 4	5 746,8	6 495,6	15 06 3, 3	6 099,8	8 963,5	16 65 1, 6	6 477,6	10 174,0
კლება	41 2, 0	0,0	412,0	10 0, 0	0,0	100,0	10 0, 0	0,0	100,0	10 0, 0	0,0	100,0	10 0, 0	0,0	100,0	10 0, 0	0,0	100,0
ზრდა	23 6, 2	0,0	236,2	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0
აღება და დეპოზიტები	23 6, 2		236,2	0, 0			0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0
კლება	3, 0	3,0	0,0	4 15 5, 2	708,0	3 447,2	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0
აღება და დეპოზიტები	3, 0	3,0		4 15 5, 2	708,0	3 447,2	0, 0	0,0		0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0
კლება	27 ,8	0,0	27,8	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6
აშინაო	27 ,8	0,0	27,8	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6	55 ,6	0,0	55,6
VIII. ბალანსი	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	0, 0	0,0	0,0	3 18 8, 6	353,0	2 835,6	1 75 6, 1	377,8	1 378,3	5, 0	0,0	5,0

2019 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის 24 დეკემბრის №66 დადგენილებით, 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 12 230.0 ათასი ლარით. მათ შორის:

- გადასახადები შემოსავლებიდან - 9 981.3 ათასი ლარი;
- გრანტები (მიზნობრივი ტრანსფერები) – 170.0 ათასი ლარით;
- სხვა შემოსავლები - 1 978.7 ათასი ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლება- 100.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილიც განსაზღვრული იქნა - 12 230.0 ათასი ლარით.

საქართველოს კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა 21 ცვლილება. აღნიშნული ცვლილებების

გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრა 28 161.3 ათასი ლარი. ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო:

- წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან 4353,5 ათასი ლარის განაწილებით (აქედან გარდამავალ ვალდებულებებზე მიმართული იქნა - 1913.3 ათ. ლარი; ხოლო თავისუფალი ნაშთის სახით განაწილდა - 2440.2 ათ. ლარი.);
- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტითა და ნებაცემობითი ტრანსფერებით, გრანტების გარეშე 5,5 ათ. ლარი;
- ადგილობრივი შემოსავლების ზრდით - 1615,5 ათ. ლარი (ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1094,0 ათ. ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული - 33,8 ლარი; პროცენტები - 221,7 ათ. ლარი და არაფინანსური აქტივის კლება - 266,0 ლარი).
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით - 1044,1 ათ.ლარი.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით - 5 126,0 ათ. ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის №215 განკარგულების შესაბამისად - 95.0 ათ. ლარი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის №208 განკარგულების შესაბამისად - 704.0 ათ. ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში).
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით - 418,5 ათ. ლარი.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით - 521.4 ათ. ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის №986 განკარგულების შესაბამისად - 195.0 ათ. ლარი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულების შესაბამისად - 1 852,8 ათ. ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები).

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 28 161.4 ათასი ლარით.

2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 23 442.0 ათ. ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა სულ 23 097.0 ათ. ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98.5%, მათ შორის:

საგადასახადო, სხვა შემოსავლების და არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13 679.9 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 15 325.2 ათ. ლარი ანუ შესრულდა 112 %-ით. მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 981.3 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 11 007.6 ათ. ლარი ანუ შესრულდა 110,3 %-ით.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 332.6 ათ. ლარით და ფაქტიურად მობილიზებული იქნა 3 905.6 ათ. ლარი ანუ შესრულდა 117.2 %-ით.

არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 366.0 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 412.0 ათ. ლარი ანუ შესრულდა 112.6 %-ით.

2019 წლის ბიუჯეტის

შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები ცალკეული სახეების მიხედვით

ათასი ლარი

	შემოსავლების დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტი	%
I	საგადასახადო შემოსავლები	9981.3	11007.6	110.3
	დამატებითი ღირებულების გადასახადი	7881.3	8261.9	104.8
	ქონების გადასახადი	1510.0	2089.3	138.4
	მიწის გადასახადი	590.0	656.4	111.2
II	სხვა შემოსავლები	3332.6	3905.6	117.2
	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსით	200.0	349.3	174.6

	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	20.0	36.3	181.5
	სანებართვო მოსაკრებელი	40.0	44.6	111.5
	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1000.0	1000.0	100,0
	დასუფთავების მოსაკრებელი	150.0	202.4	134.9
	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	70.0	72.6	103.7
	ჯარიმები და სანქციები	1592.8	1744.2	109.5
	ნებაყოფლობითი ტრანსფერი , გრანტების გარეშე და ბანკის პროცენტი	259.8	395.8	152.3
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	0,0	60.4	
	სხვა მოსაკრებლები			
III	არაფინანსური აქტივები	366.0	412.0	112.6
	ძირითადი აქტივები	70.0	98.5	140.7
	არამწარმოებლური აქტივი	296.0	313.5	105.9
IV	სულ:	13679.9	15325.2	112.0

მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 170.0 ათ. ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 170.0 ათ. ლარი ანუ შესრულდა 100 %-ით.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,2 ათ. ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 1,2 ათ. ლარი ანუ შესრულდა 100 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 1044.1 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1044.1 ათ. ლარით ანუ შესრულდა 80.5 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის №215 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 94,3 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 95,0 ათ. ლარით ანუ შესრულდა 99,3 %-ით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის №986 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 180,5 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 195 ათ. ლარით ანუ შესრულდა 92,6 %-ით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 5059.8 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5126.0 ათ. ლარით ანუ შესრულდა 96.8 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის №208 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 696.4 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 704.0 ათ. ლარით ანუ შესრულდა 85.3 %-ით (სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში).

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 417.0 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 418.5 ათ. ლარით ანუ შესრულდა 57.2 %-ით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 520.6 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 521.4 ათ. ლარით.

2019 წლის ბიუჯეტის
გრანტების შესრულების მაჩვენებლები ცალკეული სახეების მიხედვით

ათასი ლარი

	დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტი	%
I	გრანტები	10128.0	8183.8	80.8
	მიზნობრივი ტრანსფერი	170.0	170.0	100
	სპეციალური ტრანსფერი	2275.3	2257.7	99.2
	რგფ	6978.8	5059.8	72.5
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	704,0	696,3	98.9

2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდისათვის განისაზღვრა 28 161.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 23 336.7 ათასი ლარი ანუ შესრულდა 82,9 %-ით.

2019 წლის ბიუჯეტის
გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

ხარჯის დასახელება		2019 წლის 12 თვის გეგმა	2019 წლის 12 თვის ფაქტი	%
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3295.2	3172.1	96.3
2	თავდაცვა	112.4	107.5	95.7
3	ეკონომიკური საქმიანობა	15248.9	10991.3	72.1
4	გარემოს დაცვა	927.5	922.8	99.4
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1630.4	1491.7	91.5
6	ჯანმრთელობის დაცვა	99.4	93.9	94.4
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	1904.0	1885.0	99.0
8	განათლება	3482.7	3217.0	92.4
9	სოციალური დაცვა	1460.9	1455.5	99.6
10	სულ	28 161.4	23 336.8	82.9

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 3 295.2 ათ. ლარით, დაფინანსებულია 3 172.1 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 96,3 %-ით. მათ შორის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები დაფინანსდა - 3172.1 ათ. ლარით. რაც შეეხება 2019 წლის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობიდან გამომდინარე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის გათვალისწინებით სარეზერვო ფონდი წლის განმავლობაში განისაზღვრა 125,0 ათ. ლარით. შესაბამისად საკასო შესრულებამ შეადგინა 118,6 ათ. ლარი, რაც გამოყოფილი იქნა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაავადებულ პირთა მედიკამენტოზური მკურნალობისათვის, სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის წლიური ლიცენზიის მისაღებად, ქ. წყალტუბოში დუმბაძის ქ. #22-ში მცხოვრებ ნატალია ცინარიძისათვის და შემდგომ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის „ღია სახლის“ ანგარიშზე ჩარიცხვისათვის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-პატრონობისათვის. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა განისაზღვრა 4,3 ათ ლარით და საკასო ხარჯმა შეადგინა 4,3 ათ. ლარი. ხოლო კადრების მომზადების პროგრამის გეგმამ შეადგინა 21,5 ათ. ლარი და საკასო ხარჯმა - 19,4 ათ. ლარი.

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 112,4 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 107,5 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 95.6 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობის სფერო დაგეგმილი იყო 15 248.9 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 10 991.3 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 72,1 %-ით, კერძოდ: მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 7 553,1 ათ. ლარი; ტროტუარების მოწყობა - 9,9 ათ. ლარი; სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 622,3 ათ. ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 729,5 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო მომსახურებაზე დაიხარჯა - 194,9 ათ. ლარი; საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებაზე - 464,8 ათ. ლარი; სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 297,8 ათ. ლარი, მოსაცდელების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 56,9 ათ. ლარი.

გარემოს დაცვა - გეგმით განსაზღვრული იყო 927,5 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 922,8 ათ. ლარი. აღნიშნული მუხლით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება - 900,2 ათ. ლარით, ხოლო მაწანწალა ძაღლების იზოლირება - 22,6 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 99,5 %-ით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 1630,4 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1491,7 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 91,5 %-ით, კერძოდ: შენობების რეაბილიტაცია - კეთილმოწყობა - 1061,9 ათ. ლარით; წყლის სისტემები - 225,3 ათ. ლარით; გარე განათება დაფინანსებულია - 367,2 ათ. ლარით; აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი“-ს დაფინანსება 899,2 ათ. ლარით.

ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება გეგმით განსაზღვრული იყო 99,4 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 93,9 ათ. ლარი, აღნიშნულით გათვალისწინებულია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის წყალტუბოს ცენტრის“ დაფინანსება. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 94,4 %-ით.

დასვენება, კულტურა, სპორტისა და რელიგიის სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 1904,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1885,0 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 99 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ „წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანება“ დაფინანსებულია - 408,9 ათ. ლარით; სპორტული ღონისძიებები - 25,3 ათ. ლარით; ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალი დაფინანსებულია - 44,4 ათ. ლარით; ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“ - 35,7 ათ. ლარით; ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ დაფინანსებულია 410,9 ათ. ლარით; ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ დაფინანსებულია 156,9 ათ. ლარით. ა(ა)იპ „წყალტუბოს კულტურის ცენტრი“ დაფინანსებულია 593,5 ათ. ლარით. ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები - 109,5 ათ. ლარით; ეპარქიის სუბსიდირება - 100.0 ათ. ლარი.

განათლების სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 3482,7 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 3217,0 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 92,4 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ წყალტუბოს საბავშვო ბაღების გაერთიანება“ დაფინანსებულია - 2304,0 ათ. ლარით და ზოგადი განათლება დაფინანსებულია - 913,0 ათ. ლარით.

სოციალური დაცვის სფეროს პროგრამები გეგმით განსაზღვრული იყო 1460,9 ათ. ლარი, დაფინანსებულია 1455,5 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 99,6 %-ით, მათ შორის:

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ დაფინანსებულია 191,7 ათ. ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისებისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 77,4 ათ. ლარი;

სარიტუალო ხარჯების დასაფარავად გაცემულია 11,8 ათ. ლარი;


მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება დაფინანსებულია 539,5 ათ. ლარით;

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ დაფინანსებულია 116,3 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარება დაფინანსებულია 458,8 ათ. ლარით;

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება 60,0 ათ. ლარით;

ამრიგად, 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები შესრულდა 98,7 %-ით, ხოლო გადასახდელები 82,9%-ით.



თავი III. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ასიგნებების ზღვრული მოცულობები

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად 2021-2024 წლებში ბიუჯეტის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის პროექტი			2022 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2023 წლის პროგნოზი			2024 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	16 361 ,5	170,0	16 191,5	24 736 ,2	5 916,8	18 819,4	27 918 ,3	6 269,8	21 648,5	29 669 ,4	6 647,6	23 021,8
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3 827 ,1	102,2	3 724,9	3 883 ,3	102,2	3 781,1	3 894 ,9	102,2	3 792,7	3 907 ,2	102,3	3 805,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	3 552 ,1	102,2	3 449,9	3 243 ,3	102,2	3 141,1	3 254 ,9	102,2	3 152,7	3 267 ,2	102,3	3 165,0

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 – 2024
წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

01 01 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	891,0	0,0	891,0	836,5	0,0	836,5	840,8	0,0	840,8	840,1	0,0	840,1
01 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	2 526,4	0,0	2 526,4	2 282,1	0,0	2 282,1	2 289,4	0,0	2 289,4	2 302,4	0,0	2 302,4
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	112,2	102,2	10,0	102,2	102,2	0,0	102,2	102,2	0,0	102,3	102,3	0,0
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადება	22,5	0,0	22,5	22,5	0,0	22,5	22,5	0,0	22,5	22,5	0,0	22,5
01 02	საერთო დანიშნულებების ხარჯები	275,0	0,0	275,0	640,0	0,0	640,0	640,0	0,0	640,0	640,0	0,0	640,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	120,0	0,0	120,0	130,0	0,0	130,0	130,0	0,0	130,0	130,0	0,0	130,0
01 02 03	მოქალაქეთა ჩართულობა	155,0	0,0	155,0	510,0	0,0	510,0	510,0	0,0	510,0	510,0	0,0	510,0
01 03	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5 008,6	0,0	5 008,6	12 967,7	5 746,8	7 220,9	15 910,9	6 099,8	9 811,1	17 737,4	6 477,6	11 259,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 334,9	0,0	1 334,9	8 277,5	5 042,8	3 234,7	10 553,8	5 395,8	5 158,0	10 374,4	5 773,6	4 600,8

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 – 2024
წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	1 164 ,9	0,0	1 164,9	8 177 ,5	5 042,8	3 134,7	10 453 ,8	5 395,8	5 058,0	10 274 ,4	5 773,6	4 500,8
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	100 ,0	0,0	100,0	100 ,0	0,0	100,0	100 ,0	0,0	100,0	100 ,0	0,0	100,0
02 01 04	ხიდების და ბოგიერების მშენებლობა	70, 0	0,0	70,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 443 ,9	0,0	1 443,9	1 350 ,0	0,0	1 350,0	1 270 ,0	0,0	1 270,0	2 890 ,0	0,0	2 890,0
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	380 ,0	0,0	380,0	200 ,0	0,0	200,0	350 ,0	0,0	350,0	2 250 ,0	0,0	2 250,0
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	1 063 ,9	0,0	1 063,9	1 150 ,0	0,0	1 150,0	920 ,0	0,0	920,0	640 ,0	0,0	640,0
02 03	გარე განათება	460 ,0	0,0	460,0	430 ,0	0,0	430,0	670 ,0	0,0	670,0	900 ,0	0,0	900,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	400 ,0	0,0	400,0	400 ,0	0,0	400,0	500 ,0	0,0	500,0	500 ,0	0,0	500,0
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	60, 0	0,0	60,0	30, 0	0,0	30,0	170 ,0	0,0	170,0	400 ,0	0,0	400,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	60, 0	0,0	60,0	76, 1	0,0	76,1	91, 7	0,0	91,7

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 – 2024
წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	300,0	0,0	300,0	200,0	0,0	200,0	250,0	0,0	250,0	250,0	0,0	250,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 069,8	0,0	1 069,8	986,9	0,0	986,9	1 033,0	0,0	1 033,0	1 073,3	0,0	1 073,3
02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	130,0	0,0	130,0	150,0	0,0	150,0	150,0	0,0	150,0
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	252,0	0,0	252,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	817,8	0,0	817,8	856,9	0,0	856,9	883,0	0,0	883,0	923,3	0,0	923,3
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	0,0	1 263,3	704,0	559,3	1 408,0	704,0	704,0	1 408,0	704,0	704,0
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	150,0	0,0	150,0	150,0	0,0	150,0	250,0	0,0	250,0	250,0	0,0	250,0
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	250,0	0,0	250,0	250,0	0,0	250,0	400,0	0,0	400,0	500,0	0,0	500,0

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 – 2024
წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 100 ,9	0,0	1 100,9	1 188 ,5	0,0	1 188,5	1 242 ,2	0,0	1 242,2	1 284 ,9	0,0	1 284,9
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	50, 0	0,0	50,0	50, 0	0,0	50,0	50, 0	0,0	50,0	50, 0	0,0	50,0
03 03	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველ ობა	1 050 ,9	0,0	1 050,9	1 138 ,5	0,0	1 138,5	1 192 ,2	0,0	1 192,2	1 234 ,9	0,0	1 234,9
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლ ობა მწვანე გარემოსთვის“	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	2 700 ,0	0,0	2 700,0	2 821 ,7	0,0	2 821,7	2 823 ,3	0,0	2 823,3	2 824 ,9	0,0	2 824,9
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 700 ,0	0,0	2 700,0	2 821 ,7	0,0	2 821,7	2 823 ,3	0,0	2 823,3	2 824 ,9	0,0	2 824,9
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირ ება და ინფრასტრუქტ ურის მოწყობა / რეაბილიტაცი ა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობ ა და სპორტი	2 160 ,0	0,0	2 160,0	2 332 ,4	0,0	2 332,4	2 462 ,1	0,0	2 462,1	2 300 ,7	0,0	2 300,7

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 – 2024
წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	723 ,0	0,0	723,0	774 ,4	0,0	774,4	864 ,5	0,0	864,5	678 ,8	0,0	678,8
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	23, 0	0,0	23,0	37, 0	0,0	37,0	39, 1	0,0	39,1	42, 3	0,0	42,3
05 01 02	სპორტული დაწესებულებ ების ხელშეწყობა	700 ,0	0,0	700,0	737 ,4	0,0	737,4	825 ,4	0,0	825,4	636 ,5	0,0	636,5
05 01 02 01	წყალტუბო არენა	140 ,0	0,0	140,0	111 ,3	0,0	111,3	108 ,9	0,0	108,9	109 ,4	0,0	109,4
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტ ეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	500 ,0	0,0	500,0	476 ,1	0,0	476,1	476 ,5	0,0	476,5	477 ,1	0,0	477,1
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცი ა, მშენებლობა	60, 0	0,0	60,0	150 ,0	0,0	150,0	240 ,0	0,0	240,0	50, 0	0,0	50,0
05 01 03		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 427 ,9	0,0	1 427,9	1 537 ,6	0,0	1 537,6	1 577 ,0	0,0	1 577,0	1 601 ,1	0,0	1 601,1
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებ ების ხელშეწყობა	1 250 ,5	0,0	1 250,5	1 279 ,0	0,0	1 279,0	1 297 ,9	0,0	1 297,9	1 308 ,0	0,0	1 308,0
ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება				
ღონისძიების აღწერა		ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას (რაგბი, ხელბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, მძლეოსნობა, მკლავჭიდი, კრივი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი, რომელთაც ეუფლება 420 სპორტსმენი. სპორტული კლუბების გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში.				
ღონისძიების მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		<p>ღონისძიებების მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. <p>- მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სპორტული მიმართულებებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.</p>				

კოდი	ღონისძიების დასახელება	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 04			60,0	90,0	90,0	100,0
ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)				
ღონისძიების აღწერა		ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ სოფელ მუხიანში ქაქარის უბანსა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში . გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.				
ღონისძიების მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ღონისძიებების მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მოსალოდნელი შედეგი: სპორტული სახეობებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.				

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02			1427,9	1569,0	1597,6	1621,9
პროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა				

სამსახური	სამსახური)
პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გადმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			1250,5	1448,6	1477,0	1501,1
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>				
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გადმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.				
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებების მიზანია: მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.				

კოდი	ღონისძიების დასახელება	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 01			500.5	500.6	501.9	503.5

ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი
ღონისძიების აღწერა	ღონისძიების მიზანია ახალგაზრდობის ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდობისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა.
ღონისძიების მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებების მიზანია: მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო ღონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.

კოდი	ღონისძიების დასახელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 02			650,0	656.7	660.5	666.2
ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი					
ღონისძიების აღწერა	ღონისძიების მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა, რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 28 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა.					
ღონისძიების მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებების მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;					

კოდი	ღონისძიების დასახელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 03			100,0	132,7	135,5	138,3
ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი					
ღონისძიების აღწერა	ღონისძიების მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია,					

	კურორტის პოპულარიზაცია.
ღონისძიების მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ტურისტული ზონის, როგორც რეკრეაციული, ბალნეოლოგიური და სამკურნალო ტურიზმის კომპლექსის მიმზიდველი იმიჯის ფორმირება.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			77,4	158,6	179,1	193,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>				
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა დატვირთულია შინაარსობრივად მრავალფეროვანი, სანახაობრივად საინტერესო და კულტურული ღირებულებების მქონე მთელი რიგი ღონისძიებებით, რისთვისაც კეთდება გეგმა-გრაფიკი და ამ თანამიმდევრობით ხდება მათი განხორციელება ღონისძიებები ერთმანეთისაგან შინაარსობრივად აბსოლუტურად განსხვავებულია. ღონისძიებებში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი კოლექტივები, ასევე, მოწვეული ანსამბლები და ფოლკლორული ჯგუფები. ღონისძიებათა ჩასატარებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა და ხდება მისი გეგმიური გადანაწილება წლის ბოლომდე. დაგეგმილია სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, ტრანსპორტირება, საშობაო ღონისძიება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულთა დაჯილდოვება, გენდერული თანასწორობა, მოწვევა, აგრო ტურისტული ფესტივალი, სასწავლო წლის დაწყება, ხელოვნების დღეები წყალტუბოში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილის ღონისძიება, სიყვარულის დღე, ქართული სამოსის დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 2 მაისობა (გვირილობა), ბავშვთა საერთაშორისო დღე, სახალხო დღესასწაული „ოტიაობა“, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ღვინის და ყველის ფესტივალი, სოხუმის დაცემის დღე, სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის საღამო, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშურების, წიგნების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურება; ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაული, საახალწლო ღონისძიება; საახალწლო საჩუქრები.</p>				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		<p>ღონისძიებების მიზანია: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.</p>				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 03			100,0	100,0	100,0	100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>				

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03			9,1	20,4	20,6	20,8
პროგრამის განმახორციელებელი		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>				
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდებისთვის გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემა. პროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, როგორცაა ეტალონი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დღეები, რა? სად? როდის?, შშმ პირებისათვის საჩუქარი და ევროკავშირის დრეები.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდებისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.				

06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			111,6	111,6	111,6	111,6

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხვედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			249,6	260,5	271,4	274,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი					
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით, რომლითაც სარგებლობს 190 ბენეფიციარი. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინმიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.					
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაცული იქნან ყოველდღიური გაჭირვებისაგან. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქვეპროგრამით განსაზღვრული ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით.					

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			3,0	4,0	5,0	6,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)					
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული მოქალაქეების თანადგომა და მხარდაჭერა, რისთვისაც ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მატერიალური დახმარება თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.					

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება
---	---

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03			105,0	110,3	115,7	121,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>				
ქვეპროგრამის აღწერა		<p>მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება და დახმარება. გამომდინარე აქედან ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი.</p> <p>ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობაზე ერთობლივად.</p> <p>ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ პუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომელთა შვილები დაიბადა 2019-2020 წლებში და არ აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.</p>				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 04			12,0	13,0	14,0	15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>				
ქვეპროგრამის აღწერა		<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, ასევე უჭირისუფლო გარდაცვლილთა პატივების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მათი დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.</p>				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 05			451,2	425,0	432,0	448,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>				
ქვეპროგრამის აღწერა	<p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას განესაზღვროს დახმარება - 250 ლარი.</p> <p>ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება – 500 ლარი;</p> <p>გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;</p> <p>დ) დედ-მამით ობოლი ბავშვის დახმარება – 500 ლარი;</p> <p>ე) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი;</p> <p>ვ) ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი.</p> <p>ზ) მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება – 250 ლარი;</p> <p>თ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება –1800 ლარი;</p> <p>ი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერებრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;</p> <p>კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საკენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;</p> <p>ლ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.</p> <p>მ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;</p> <p>ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების გამო) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 150 ლარისა, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარისა.</p> <p>ო) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 150 ლარი, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარი.</p> <p>პ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.</p> <p>ჟ) 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 100 ლარის ოდენობით.</p> <p>რ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.</p> <p>ს) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 50 ლარის ღირებულებისა.</p> <p>ტ) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა</p>					

	<p>სახის სიმსივნეები) დახმარება - 500 ლარი.</p> <p>უ) ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვის დახმარება - 500 ლარი.</p> <p>ფ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.</p> <p>ქ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -200 ლარი.</p> <p>ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში- ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით.წელიწადში 1800 ლარი.</p> <p>ყ)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების: გარდაცვალების, უგვზოუკვლოდ დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულის, პატიმრობაში ყოფნის გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.</p> <p>ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.</p> <p>ჩ) სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, განესაზღვროთ დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი.</p> <p>ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>უსახლკარო ოჯახების გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, მათი სტიმულირება და მატერიალური თანადგომა;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დადუპულთა ოჯახების მატერიალური თანადგომა.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 06			140,5	126,0	124,2	114,4
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p><i>ა(ა)იმ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი</i></p>					
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას.</p>					
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობა.</p>					

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02			450,0	470,0	485,0	495,0

07					
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p><i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i></p>				
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და პრევენციის შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა. ამისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული მათ შორის C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩასართავად საჭირო დიაგნოსტიკური და მკურნალობის მონიტორინგის კვლევები და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, დაფინანსდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარი.</p> <p>მძიმე ონკოლოგიური დავადების მქონე პირებისათვის, რომლებიც გადიან ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიას საგარანტიო წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული მათ შორის C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩასართავად საჭირო დიაგნოსტიკური და მკურნალობის მონიტორინგის კვლევები და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, დაფინანსდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარი.</p> <p>ონკოლოგიური დავადების მქონე პირებისათვის, დახმარება განისაზღვრება წელიწადში ორჯერ, ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.</p> <p>ქვეპროგრამით მოსარგებლებეები არიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 - F84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი გ) F84.2 რეტის სინდრომი დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა ე) F84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით ვ) F84.5 ასპერგერის სინდრომი ზ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი. თ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი <p>ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (F-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია. ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას. გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი. დ) F78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა. <p>პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად თვის 10 რიცხვამდე, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.</p>				

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და გაუმჯობესებული ჯანმრთელობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 08			42,0	44,0	46,0	48,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>				
ქვეპროგრამის აღწერა		<p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2020 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყერის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოფის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრივალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს - 2000 ლარი.</p> <p>დახმარება ვრცელდება 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულებზეც, რომელთაც მიღებული არ აქვთ - „სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება“ 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.</p>				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა სტიქიის შედეგად დაზიანებული ქონების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის				

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორცაა სარეზერვო ფონდი, მოქალაქეთა ჩართულობის ქვეპროგრამა, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.